15 ივნისი, 1908 წ.

ფასი ცალკე 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი





№ 35




საცდელი ბუკი სწ. მათარაშის სისტემისა

(ქუთაისის სამეურნეო სკოლაში)

*
* *

ზღვა აქოჩრილი მძაფრად გაჰკივის
და ქარიშხალი მედგრად ღრიალებს..
ზვირთებს მიაპობს თავხედი ნავი,
მიჰქრის, იალქნებს მიაფრიალებს.
არ მოსჩანს კიდე, არც ნავთსადგური,
ზღვის პირს დაჰკვრია ბურუსი ბნელი,
მაგრამ ეტყობა, რომ ნავს განაგებს
შეუპოვარი, ნაცადი ხელი!..
აქ სტიქიონთან სასტიკი ბრძოლა,
ირგვლივ კივილი და ღრიანცელი,
წინ კი მიზანი დიდ სანეტარო:
თავისუფლება, ნავთ საყუდელი!..
ნავი ურჩია და მეზღვაურიც
გულით კაჟია, დაუღალავი,
ნიჩბების სმამ და საჭის მომართვამ
ჯერ ვერ მოქანცეს ამტანი მკლავი.
თუმც ქარიშხალი უფრო მძვინვარებს,
ზღვა პირით ცოფს ყრის, ბრძოლა მწვავდება,
მაგრამ მცურავიც მხნედ იქნევს ნიჩფებს,
ტალღათა დუღილს არ უშინდება!
აქ სტიქიონთან სასტიკი ბრძოლა,
ირგვლივ კივილი და ღრიანცელი,
წინ კი მიზანი დიდ სანეტარო:
თავისუფლება, ნავთსაყუდელი!..

**ნ. ზომლეთელი.**

## ეშმაკის მოგზაურობიდან.

კუსავით დადის ქვეყანა
ისეთი დრო და ჟამია,
„აჩქარებითა სოფელი
არავის მოუჭამია“.

21 მაისს დილით, თფილისში ეშმაკი აღარ ყოფილა. ის პროვინციაში გავიდა და ქალაქი მარტო ანგელოზების ამარა დარჩა.

რკინის გზის უწესოებათა შესახებ ეშმაკს არაფერი ჩაუწერია თავის წიგნაკში, რადგან „ქვეყანამ იცის თუ როგორ აგდებული ყავს რკინის გზის მთავრობას მგზავრები“ და მეტადრე მესამე კლასის მგზავრები. ის კი გაუკვირდა ღვთის წინაშე, რომ ტრამვაის ამბებით ქვეყანას აყრუებენ და რკინის გზის ვაგონში თფილისიდან ბათუმამდე დასაჯდომს ვერ იშოვი, ამაზე რატომ არაფერს ამბობენო. მართლაც გასაკვირია.

ამაღლება დღეს ეშმაკი დაბა ლანჩხუთში ჩავიდა. პირველ ყოვლისა მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთლები არ აჰყოლიან სხვების ფეხის ხმას და ძველებური, მამა-პაპური ჩვეულება „ამაღლების დღეობა“ არ მოუსპიათ. ესეთი მტკიცე დაცვა ძველი ადათ-წესებისა სასიამოვნოა. ხალხის გაჭირვება თუმცა უმწვერვალეს წერტილამდეა ასული მაგრამ დღევანდელ დღეს მაინც დათვრება რაც უნდა დაემართოსო.

დაბაში შესვლისათანავე თვალში ეცა ეშმაკს მიშველი ბოძი ფანრისა და მყისვე მოაგონდა ნეტარ ხსენებული იაშა ბოქაული. ფანრების ბოქაული თუმცა კარგა ხანია გურიის დედა-ქალაქიდან ადესაში გადაიყვანეს, მაგრამ ვიდრე ეს ძეგლი მისი ფარანთა მმუსვრელი მოღვაწეობისა იქნება, მანამ ლანჩხუთის ხალხი არ დაივიწყებს იაშას ხსოვნას.

ეკლესიის ეზო-გალავანი სავსე იყო მლოცველი ხალხითა და მათხოვრებით. ერთი ფრიად მაღალი და ქერა მასწავლებელი დინჯათ დაეყუდებოდა ხალხში და გულზე მოკიანთე მენდლით მნახველებს თვალს სჭრიდა.

ეშმაკმა შეხედა და გუნებაში ჩაიცინა!.. თან წიგნაკში ჩაიწერა: „ბ-ნ ერმალოს მიერთვას ერთი მათრახის კუდი ზურგზე დასაკიდათ და სატარებლათო“.

ადგილობრივი სცენის მოყვარენი დიდ ფაცი ფუცში იყვნენ, რადგან „ბატონი და ყმა“ უნდა ეთამაშათ. როგორც ეშმაკმა შენიშნა მოთამაშენი ყველანი ბატონები იყვნენ და ბატონი ყმოთ რა მოსახმარია!

მზე რო შუბის ტარზე დადგა ლანჩხუთის მოედანს მოჯირითე ხალხი გამოეფინა. ეშმაკის ყურადღება მიიპყრო „ამერიკელ მოჯირითეთა“ რაზმმა. დიმიტრი ცინცაძის-მიერ გამოწრთვნილები საამო სანახავი იყვნენ კატის ცხენებზე მჯდომარენი.

„გურული მეჩქდელი“ ეშმაკს უნახავი დარჩა, მაგრამ ის კი დანამდვილებით გაიგო, რომ მისი მოქმედება „ნიშადურში“ გაბრიყვებითი მომდინარეობისაა.

სამოქალაქო სასწავლებელში რევიზიის მოხდენა ეშმაკმა ვერ გაბედა, რადგან გააფრთხილეს: „საშიშოაო“.

საღამოს შვიდ საათზე ეშმაკი ლანჩხუთიდან გაქრა და არავინ იცოდა ზეცად ამაღლდა თუ ქვესკნელმა ჩანთქა...

**ეშმაკის მდივანი:**

(ზოკიც შემდეგ იყოს).

*
* *

ისევ დაბნელდა და მთელ ქვეყანას
გადაეფარა შავი სუდარა...
ბნელეთის მეფემ ბუმ დაიკვნესა
და საზარი ხმა შორს მიამკვდარა..
ტყემ ბანი მისცა პირ მოქუშულმა,
კლდე-ღრემ იხარა და ჩაიცინა,
ველმა უთქმელათ ის დაძახილი
ვით დედამ შვილი გულს ჩაიწვინა.
შავი ზეწარით თვალ ახვეულმა
ზეცამც დაუკრა მიწას დასტური:
ისიც აკვნესდა გულ შესაზარათ
მრავალის გზობით ცრემლ დანაწური..
აცრემლდა ზეცა, ატირდა მიწა,
შავათ მოირთო სულ არე მარე,
ქვითინებს კვნესის გულამომჯდარი
შეუბრალებლათ ნასისხლი მხარე.

მშობელს დატანჯულს და გულს დასერილს
გულზე აკვდება პირმშო თავისი,
მამა და ტირის სევდით ნაკმირი
არ უჩანს ტანჯვას ბოლო, საწყისი...
საკანში ჭკნება ნორჩი სიცოცხლე
ძალდონით სავსე და გულ კლდოვანი...
ყველგან კვნესაა, ყველგან ცრემლია,
გამეფებულა ქვეყნად გლოვანი...

—

შენ, განთიადო, ამოაშუქე,
გაანათევი კიდითგან კიდე;
ზესკნელ ავარდი ნათლის სვეტად,
დაფხრიწე შენებრ ეს შავი რიდე!..
მიუალერსე ტანჯულთ სამეფოს,
გულს ჩაიკარი, მას ეაკვანე,
გაასცისკროვნე კლდე-ღრე, მთა-ბარი
აავერადე და ამწვანე...
თორემ ეს არის გაქრეს იმედი,
მთელი ქვეყანა მტარვალს დანებდეს!..
ამოაშუქე, ვინემ სამსალას
სიცოცხლის მოისპობს ის გადალევდეს!..

ვ. მალაქიაშვილი.




## შესახებ მსოფლიოს აღორძინებისა.

„არა შექდა მწყერი ხესა,
არცა იყო გვარი მისი“.

ბ-ნებო! და ქალბატონებო! საგანი დღევანდელი ჩვენი მუსაიფისა ვრცელია, ვით განუზომელი სივრცე მსოფლიო-ქვეყნიერებისა. არა ერთი და ორი თავი დაუფიქრებია ამ დიად საკითხს, მაგრამ გადაჭრილი პასუხი ჯერაც არსადა სჩანს. მართლაც ან კი ვინ დაესწრებოდა მსოფლიოს წარმოშობას, რომ შეეძლოს მისი აწერა და გადმოცემა?! დიახ, წარმოშობის მნახველი არავინ იქნებოდა, მაგრამ ადამიანის გონებას შესწევს ისეთი ძალა, რომლითაც ერთგვარ მოვლენათაგან ერთგვარ დასკვნათა გამოყვანა შეუძლია. ასეთი ნიჭი ცხოველებსაც შესწევთ, მაგრამ როგორც სხვა და სხვა ცხოველებს, ისე თვით ადამიანებსაც ესე ვითარი ძალა გონებისა დიდათ განსხვავებული აქვთ.

როდის ან როგორ გაჩნდა მსოფლიო და მათ შორის ჩვენი დედა-მიწა?

აი ბატონებო და ქალბატონებო ის ძნიადი საკითხი, რომელზედაც დღეს გვსურს საუბარი.

როგორც ბ-ნი ი. ი. მჭედლიშვილი მოგვითხრობს მის მიერ შედგენილ **„დროების კალენდარში“***) „ქვეყნის დასაბამიდან გასულა 7416 წელიწადი“! დიახ შვიდი ათას, ოთხას თექვსმეტი წელიწადი!!. ეს ისეთი ჭეშმარიტი რიცხვია, რომელსაც თითქმის ყველა ქართული კალენდარი ერწმუნება და ქუთათურ მესაკურთხეთა **„შინაური საქმეების“** რედაქცია ბეჭედს დაასვამს.

იმავე „მეცნიერული“ კ ლენდრის მიხედვით „საქართველოს დაარსებიდან გასულა 4018 წელი“ ასე, რომ ქვეყნის გაჩენასა და საქართველოს დაარსებას შუა გასულა 3398 წელი. მართალია ამ უკანასკნელ შეხედულობას არ ეთანხმება ცნობილი **ლუარსაბ თათქარიძე**, რომელიც უმტკიცებს**) თავის კნეინას, „თათქარიძეები პირდაპირ ადამისაგან წარმოსდგებითო“, მაგრამ ლუარსაბის პროტესტი ბევრს არაფერს ნიშნავს, როცა რომ ამავე აზრს ეთანხმება ქუთათურ მესაკურთხეთა რედაქცია.

თვით აქტი ქვეყნიერების გაჩენისა, ბ ნებო, მრავალი სხვადასხვა სახით არის მოთხრობილი და გამოკვლეული. სამღვდლო სკოლათა აკადემიკოსებისა და ქურუმთა აზრით მსოფლიო ხილული და უხილავი გააჩინა ღმერთმა ექვს დღეს. ეს ექვს დღიანი თეორია ქვეყნის გაჩენისა უმეტეს გავრცელებულია და მასაც სავსებით ეთანხმება ქუთათურ მესაკურთხეთა „შინაურ საქმეების“ რედაქცია***). აღნიშნული რედაქციის ერთი „მეცნიერი“, ბ-ნი სანმანიანი პირველსავე ნომერში „ამტკიცებს“, რომ ქვეყნიერობა სწორეთ იმ წესით არის გაჩენილი, როგორც ამას საღმრთო წერილი ამბობსო.

მაგრამ ბატონებო და ქალბატონებო, სხვა მეცნიერები, (რა თქმა უნდა არა ქუთათურები), ფრიად დააეჭვა მსოფლიოს აღორძინების ესე ვითარმა ისტორიამ. მართლაც თუ ქვეყნის გაჩენიდან საქართველოს გაჩენამდე 3398 წელი გავიდა როდის ღა დაარსდებოდენ ის სახელმწიფოები, რომლებიც საქართველოზე ორგზისა და სამგზის უძველეს არიან? დიახ, ამ ანგარიშით ჩინეთის სამეფო ქვეყნის გაჩენამდე უნდა დაარსებულიყო. ამ რიგათ მესაკურთხეთა თეორია ქვეყნის გაჩენისა პირველ შეხებისათანავე აკოჭლდა თავისი ექვსივე ფეხებით.

ცნობილი მეცნიერები კანტი და ლაპლასი რომ

---

*) გამოცემა 1908 წლ. „ბეჭდვითი საქმის“ ამხანაგობისა, სტამბა „იდეალისა“. გვერდი პირველი.

**) იხილე „კაცია ადამიანი“? ილია ჭავჭავაძისა.

***) საჭიროთ მიმაჩნია შევნიშნო ბ-ნ ლექტორს, რომ ამ „ექვსი დღის შემოქმედობის“ შესახებ დიდ საყვედურს აცხადებდა აწ განსვენებული აკეთის მამასახლისი კონსტანტინე შალიკაშვილი. აკეთის მამასახლისი უბრალო სოფლის კაცი გახლდათ, მაგრამ ის კი კარგათ ქონდა შეგნებული, რომ გურიის გლეხთა მოძრაობა მიწის სივიწროემ გამოიწვია და რომ საკუთრივ მასაც მხოლოდ ექვსიოდ ქცევა საყანე ჰქონდა. როდესაც კონსტანტინემ გაიგო რომ ქვეყანა ღმერთს ექვს დღეში გაუჩენიაო, ძლიერ იწყინა და სთქვა:

—რა უშავდა იმ დალოცვილს თორმეტი დღე ემუშავა, მაშინ ხომ ორი ამდენი მიწა მექნებოდაო. ან კი რას ერჩი.

ეშმაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შინაური საქმეების“ გამოსვლასა და სანმანიანის წერილს მოსწრებოდენ არ ვიცი რას იზამდენ, მაგრამ თავ თავის დროზე კი მათ შეჰქმნეს განსაკუთრებული ჰიპოტეზა მსოფლიოს აღორძინებისა. ამ ჰიპოტეზის შესახებ ჩვენ მოგელაპარაკებით, ბატონებო, ერთ-ერთ მომავალ ლექციაში. ხოლო დღეს გადმოგცემთ მას მეორე მეცნიერის მ. გაჩეჩილაძის კალენდრის პირით. უნდა იცოდეთ, რომ მსოფლიოს საკითხებს ჩვენში უმთავრესათ „სახალხო კალენდრებში“ არკვევენ გამომცემელი მეცნიერები:

მ. გაჩეჩილაძე ასე აგვიწერს*) კანტისა და ლაპლასის ჰიპოტეზას ქვეყნის გაჩენის შესახებ:

„თუ მშვენიერ ღამეში შეჰხედავთ ცისათვის, შენიშნავდით ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ თეთრ ლეჩაქივით მკრთალ ზოლს. ამას ქვია ირმის ნაჭიკნი. ირმის ნაჭიკნს რომ ტელესკოპით შეხედოთ, დაინახავთ რომ იქ გაბნეულია ეგრეთ წოდებული ანთილი გაზი ღრუბლის სახით. შენიშნეს, რომ უფრო მძიმე ნაწილი ამ ანთილი გაზისა მოწყდება ხოლმე დაკიწიალდება და ნაპერწკლების სახით გაიბნევა ეთერში. ზოგი კი წავა კვიწიალ-კვიწიალით უგზო უკვლოთ ცეცხლის ალივით. იგორებს იგორებს ეს გაზი, მიიღებს ბულთის სახეს და თანაც გზას იკაფავს ეთერში.

როცა ახალგაზრდა ვარსკვლავი—ანთილი გაზი—გზასაც დაიდებს ეთერში და კიდეც მრგვალდება დროთა ვითარებაში იგი თან დის თან გრილდება ცივსა და ბნელ ეთერში გორების დროს.

ჩვენი დედა-მიწაც ერთ დროს, ვარაუდით თორმეტი მილიონი წლის წინათ ასე გასახულა, უგორებია, უგორებია გარგვალებულა, დროთა ვითარებაში გაჰქელებულა, და კანიც გახმობია“.

ეგ ზომ პოეტურათ და „კვიწიალ-კვიწიალით“ ჯერ დედამიწის გაჩენა არავის აუწერია, მაგრამ ქუთათურ მესაკურთხეებს რომ ეს წაეკითხათ ცხადია აქ მიიტანდენ იერიშს. ბ-ნი გაჩეჩილაძის აზრით ანთილ-დედამიწას „უგორებ-უგორებია“**) ეთერში, რაიცა განსაცვიფრია მაგრამ „ექვსი დღის თეორიიდან“ მაინც ძლიერ შორს არის. დედა-მიწის მოწყვეტისა და „კვიწიალ-კვიწიალის“ დროც ცოტა მეტია აღნიშნული (12,000,000 წელი) ვიდრე ი. მჭედლიშვილის და მესაკურთხეთა ანგარიშით. ამ გამოკვლევის მიხედვით ქვეყნის გაჩენიდან საქართველოს დაარსებამდე გასულა არა 3398 წელი, როგორც „დროების კალენდარის“ მეცნიერი ამტკიცებს, არამედ 11,995,972 წელი ეს უკანასკნელი ჭკუასთან რასაკვირველია უფრორე ახლოს არის, მაგრამ ჭკუაც არის და ჭკუაც ბატონებო.

**ლექტორი.**

---

*) სახალხო კალენდარი.—შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. 1908 წლ. გვერდი 152.

**) მეცნიერს ანთილი გაზი ალბათ ტრამვაის ვაგონი თუ ჰგონებია, და ისიც ციციანოვის დაღმართზე დაგორებული, თორემ ეთერში გორაობა ძნელი წარმოსადგენია.

ეშმაკი.



მესტვირული.

ვხედავ აღარ მომასვენეს
უთავბოლოდ დავითაო,
და წაიღეს ყურთა სმენა
სხვა და სხვა ამბავითაო.
ქორის გულა გამოავსე
ზღაპრული იგავითაო,
მარა რაც ვერ მოვასწარი,
ვერ ვთქვი მე იმ თავითაო,
ძინდა ახლა შევისრულო,
დანაკლისი ავითაო.
მისთვის დამაქვს ჩემი გუდა
სტვირით—დასაკრავითაო,
რომ მიუძღვნა შესაფერი—
სულ ყველას სალავისთაო,
და ნურაფრის უკაცრავათ,
რომ ვთქვა მწარესავითაო:
ბათუმს ვერვინ ათამაშებს
მიხაილოვსავითაო.
(რახანია წყალს გვპირდება)
—მილით—მოსარწყავითაო)
არ იფიქრო, თურმე, კაცმა
მასთან საქმე გაითავო.
ამ კნეინას რაღა უნდა,
გვშხამავს საწამლავითაო!
აღმა დაღმა ქორიკანობს
ენით, დახეთ, ავითაო
და ვერ ხედავს ბეკონს, თურმე,
თვალით—სახედავითაო.
ბანკის წევრებს მოვახსენებ:
„რაც მოგივა დავითაო,

სხვას ნურავის დააბრალებ,
ყველა შენი თავითაო"!
მოსაგები გაარიგეთ,
სწორათ გაიყავითაო.—

ქალაქის მასწავლებლებო,
ნეტავ საით კნავითაო?!
რა შეიტყვეთ, შარშან ამ დროს
მოსკოვს რომ იყავითაო,
დამუნჯდით, თუ წელი გტკივა
იმ რაღაც წელკავითაო?
რათ დასდუმდით, ვერ ახერხებთ
„დაკლადებს" სხვებსავითაო!
როგორც გეტყობთ, პასუხს აგებთ
თქვენი ზურგის ტყავითაო,
ისე, როგორც „ბარიშნები"
კოხტა თავსაკრავითაო
მოღეღილი გულის ბოყვით—
ტურფა სანახავითაო,
სტუდენტების ეშხით მთვრალნი
გაშელეპილი მკვლავითაო
(თურმე ვეღარ აკავებენ
ბაწრით, ვერც სადავითაო).

ცოტა მეტიც რომ რამე ვთქვა
ამმცირე ჟამითაო.
ვგონებ, ვერვინ გამიმტყუნებს,
ვერც დამძრახავს რამითაო:
ზოგი კვდება უქმელობით,
ზოგიც მეტი ჭამითაო
სტუდენტები ქეიფობენ,
კეირაობით საღამოთ;
მიცლილები თამაშობენ
კლუბში ყოველ ღამითაო.
აგერ ეგერ გავიგონე
ქორათ, ისე, წამითაო,
რომ წაარტყეს ერთმანეთსო
ზურგში „ვენის" სკამითაო.
ასეა, თუ ისე არის,
მეც ვათავებ ამითაო
და დღეისწორს შეგეყარე
სიცილით, სიამითაო.

**ბლიკვაძე.**

## სცენა ბულის ჩხოტაზე.

**მარო და ვარდო**

**ვარდო.**—მარიკო, დედას გაფიცებ ერთი იგი ლექსი თქვი ციციასთან რომ გეთქვა გუშინ.

**მარო.** – დაგბჟგუტა შენმა გამჩენმა, ლექსი კა არა და უნელათ ვარ გაშოტორიკებული ბჟოლზე.

**ვარდო.**— ნუხარ ცავ ჯინიანი, თქვი, თქვი ვინც გიყვარს იგი ნუ მოგიკვტება.

**ვარდო.**—რას მაფიცებ ცავ ციცქნაი გასაჩენო აგია-ა:

ჩვენი სცენის მოყვარენი
მართვენ ლანჩხუთს წარმოდგენას,
მეორე დღეს ანგარიშზე
წარბებს ხუშავენ, ვატყობთ წყენას.

**ვარდო.**—სიცილით—ვაი გენის ცეხლებო. აფერი დარჩენიან ნეტაი?

**მარო.**—დარჩენ შვიდი დღეი კვირეში.

**ვარდო.**—ცავ ბევრი იყვენ მაყურებლები?

**მარო.**—საფსე მარა დასაფსებლებს იმფერი ხაჯდომები კი გიეკეთებიენ რომ ხან თავი გვქონდა აღმა და ხან ფეხი.

**ვარდო.**—რავას თამაშობდენ?

**მარო.**—საანცოს ცავ, იგი უწინ რომ ათამაშეს ბატონი და ყმაიო, კურცხალი ვერ დევიმაგრე, მარა მოვრჩი კი იგი კარყვნილი ბატონი რომ ჩაამძაღლა გაბრიელმა. დაბოლოს ერთი საათის სცოლეს რომ ქებდა იგი ვინცხა თვალგატეხილი იყო გაგვტკვლიცა სწორეთ ნაკერავზედ სიცილით. საშინელს თამაშობდა ქალებიც მარა რა გინდა დავო იგენს უოლიფერი შვენის თვარა მე რომ ისეი ვქნა დუდარით აომლანჯავს ნენაი თვალებს იგენი იგენია და აფიცერი და ვინცხა ციცეები რომ ტახუჯობდენ თვალებს დაჭუჭგილი რომ გეყურებია.

**ვარდო.**—რომელი აფიცერი კლაუდიას რომ ცხენით აგულაებდაო.

**მარო.**—აბა რაი დაო,—

ჩვენ თუ ბედი გვქონებოდა
ხომ კლავდია გვეთქმებოდა,
კაზაკების აფიცერი
კავალერათ გვეხლებოდა.

**ვარდო.**—ოო, შაქრათ შენთან მუსაიფი მარა ისევ ჩვენ ყაჭებს მივხედოთ.

**შხანკოლა.**

---

## მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა.

(ქუთაისის რევიზიისა)

(გაგრძელება)

**ნოქართა დამხმარე საზოგადოება.** გასაკვირი ამბები ხდება ამ ჩვენ დალოცვილ ქუთაისში. თუ კი რაიმე ხეირიანი საზოგადოება დაარსდა, მხოლოდ რამოდენიმე ხნით შეუძლია არსებობა; შემდეგ ისე გაქრება, მის ავანს ეშმაკიც ვერ მიაგნებს. როგორც წინათ მოგახსენეთ დაიკარგა გაბრიელის ბიბლიოთეკა გაქრა თეატრის ამშენებელი საზოგადოება (ამ საზოგადოებას ფულიც ბლომათ ქონდა შეგროვილი და თეატრის ასაშენებელი გეგმაც შემუშავებული. თუ ამ საზოგადოების გამგეობის წევრებმა ამ მოკლე ხანში არ დაარღვიეს სიჩუმე და არ აცნეს ყველას, თუ სად გააქრეს მოგროვილი ფულები, ჩვენ იძულებული ვიქნებით მათი გვარი და სახელი გამოვაქვეყნოთ.) არსად ჩანს არც წიგნების გამომცემელი საზოგადოება და არც მისი ანგარიშები. უკეთესი დღე არც ერთ დროს აქ არსებულ საზოგადოებას დადგომია. ამ საზოგადოების გამგეობას წევრებიდან ათას მანეთზე მეტი შეუგროვებია, ერთ დროს ცოტა კიდეც უმუშავნია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შემდეგ სალაათის ძილს მიცემია. მანამ იძინონ, სანამ არ მოეწყინებათ, ოღონდ საზოგადოებას ანგარიში კი ჩააბარონ. ზოგიერთი „ბოროტი ენები“ ლაპარაკობენ, თითქოს ეგ ფულები გამგეობის წევრებმა კასიდან გამოიტანეს და ერთი ერთმანეთში გაიყვესო; მაგრამ ამაზე შემდეგ. ეხლა კი ვურჩევ საზოგადოების წევრებს: მოსთხოვონ თავის გამგეობას ანგარიში. ასეთ უკულმართ დროში, როდესაც უმუშევართა რიცხვი ყოველ სფერაში განუსაზღვრელია, ასეთი საზოგადოება და ისიც თანხიანი დიდათ სასარგებლოა.

**„შინაური საქმეების“ რედაქციას** და კერძოთ სანმანიანს გადაუწყვეტიათ აღძრან შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ ქუთაისის ეპარქიალური სასწავლებლიდან განდევნილ იქნას „კოსმოგრაფიის“ სწავლება, რადგან ვერც ერთ კოსმოგრაფიის სახელმძღვანელოს ვერ ნახავ, რომ შიგ არ იყოს ის, რაც ამ პატივცემულმა მამებმა გომართლის აქიბაჭიათ აღიარეს.

**ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებსო**· არა ერთხელ და ორჯელ განუცხადებიათ ჩვენ ესფერებს: „აკობიასთან და მისებურ ხალხთან არაფერი საერთო არა გვაქვსო,“ მაგრამ რისი ესფერები იქნებოდენ, რომ სიტყვით ერთს არ ლაპარაკობდენ და საქმით კი მეორეს. მაგალითათ ქუთაისის ესფერებს აკობიას აგენტობაც კი უკისრიათ. იასონ ბაქრაძეს ქიათურის საბჭოს შენობა აკობიას ნაწარმოებთა საწყობათ გაუხდია და ბრალიანსა და უბრალოს იქ შიმსვლელს აჩეჩებს მათ ხელში. საბჭოს მოხელეებს, ღვთის წინაშე, დღეს დღეობით საქმე მაინც და მაინც დიდი არაფერი არა აქვთ და არც არის გასაკვირი, რომ თავის შესაფერი გასართობი საქმე გამოუძებნიათ.

**ბალის ქუჩის მცხოვრებლები მთხოვენ** გამოვაცხადო ბ. ციბაძის საყურადღებოთ, რომ, თუ ვინიცობაა ის არ მოიშლის ღამ ღამობით მათ ქუჩაში ხეტიალს და უწმაწური სიტყვებით არშიყობას, რითაც მეზობლებს ძილს უფრთხობს, უკიდურეს საშუალებას მიმართავენ. იმედია ბ. ციბაძე მიიღებს მხედველობაში ამ განცხადებას და თავის მოქმედებას მხოლოდ ათ საათამდე განაგრძობს.

**პურიშკევიჩის თანამოაზრე.** „Чудакъ Карлъ Чхеидзе. Пуришкевичъ правильно его обозвалъ обезьяной. მხოლოდ მაიმუნი მარტო კარლო კი არ არის, არამედ მისი ამრჩევლებიც მთელი ქართველობა“. ამ სიტყვებით მიმართა სახალხო სკოლების ინსპექტორმა მის კაბინეტში შეკრებილ მასწავლებლებს. ამის შემდეგ რაღა გასაკვირია ჩვენი დირექტორ-ინსპექტორების ლევიტსკისებური კუნსტიუშკები, რაკი ისინი მათ გასანათლებელ ხალხს მაიმუნებათ თვლიან. საწყენი აქ მხოლოდ ის არის, რომ მასწავლებლებში არ აღმოჩნდა ერთი კაცი მაინც, რომ თავხედ ინსპექტორისთვის შესაფერი პასუხი მიეცა.

**უპრავა და ტალახი.** თუ ვინმეს წვიმიან დღეს მოუხდეს გამოსეირნება ქუთაისისაკენ მაღალ ყელიანი წაღები და კალოშები თან წამოიღოს. შუა ქალაქში სიბინძურე, დანგრეული, შეუსწორებელი ქუჩები, განაპირა ხომ საკითხავი არ არის. არავითარ ყურადღებას ჩვენი უპრავა და დუმა არ აქცევს ქალაქის განაპირებს. აიღეთ თუნდ პეტრე-პავლობის მხარე, მწვანე ყვავილა, საფირჩხია, არქიელის მთა. არ ვიცი, მე და ჩემმა ღმერთმა, რაში გამოიხატება ამ კუთხეებიზა თვით-მმართველობის არსებობა. თქვე მამა-ცხონებულნო, ფულებს რომ სტრაჟნიკებით აგროვებთ და ყველაფრის აწერას უქადით მცხოვრებლებს, ერთი კითხეთ მაინც თქვენ თავს რა გაუკეთეთ ამ მცხოვრებლებს, ერთი კითხეთ მაინც თქვენ თავს რა გააკეთეთ ამ მცხოვრებლებისათვის?

**რევიზორი—ეშმაკი.**

## ბიბლიოგრაფია.

„სარკე ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა ანუ დახასიათება მოკლეთ და მარტივათ“, შედგენილი მესხი კონსტანტინე გვარამაძის მიერ, ფასი 5 კ.

მესხი კონსტანტინე გვარამაძე ჩვენში ცნობილ მწერლათ ითვლება. ჩვენი მწერლობის ცაზე კონსტანტინეს სახელმა განსაკუთრებით იქუხა მაშინ, როცა კონსტანტინემ როსტომაშვილის „მოგზაურში“ გურიის აღწერა მოათავსა. იმ აღწერაში კონსტანტინემ მეცნიერული მიუდგომლობით ცხად ჰყო, რომ გურიაში, როცა ჩიტს თოფს ესვრიან, თუ ტყვია მოხვდა, ჩიტი ძირს ჩამოვარდება და ვერ გაფრინდება და თუ არ მოხვდა—ჩიტი ხეზე არ მოიცდის და უეჭველათ გაფრინდება. ასეთმა გამოკვლევამ კონსტანტინეს ურიცხიერეს მკვლევარის სახელი მოუხვეჭა არა მარტო როსტომაშვილის „მოგზაურის“ რედაქციაში, არამედ მთელ ევროპაში. მას შემდეგ კონსტანტინეს კალამი არ გაუგდია ხელიდან და კაცობრიობას ბევრი სასახელო ნაწარმოები შესძინა. მის ყველა ნაწარმოების განხილვას და დაფასებას ჩვენ, უბრალო მომაკვდავი, კისრათ ვერ ვიდებთ; ჩვენ აქ გვწადია მხოლოთ კონსტანტინეს ბოლონდელ ნაწარმოებს შევეხოთ ცოტათი. ჩავდივართ ამას იმ იმედით; რომ როცა ჩვენი ლიტერატურის მომავალი ისტორიკოსი ვრცლათ შეეხება კონსტანტინეს ნაწარმოებს და დაფნის გვირგვინს დაადგამს კონსტანტინეს გენიოსურ თავს, მაშინ ჩვენც, როგორც კონსტანტინეს ერთ-ერთ ნაწარმოების ბიბლიოგრაფს, მოგვიხსენიებს და მით ჩვენს სახელსაც შეიტანს ისტორიაში. მაშ, შევუდგეთ საქმეს.

ავტორს თავის თხზულებისთვის წაუმძღვარების წინასიტყვაობისებური ამ სათაურით: „მკითხველს“· ეს წინასიტყვაობა თითქმის ერთ გვერდს შეიცავს და მხოლოთ ერთი წინადადებაა, თან ისეთი ღრმა ქართულითაა დაწერილი, რომ მისი შინაარსის გადმოცემა მეტად ძნელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავტოვოთ ეს წინასიტყვაობა და პირდაპირ შევუდგეთ საქმეს. ყურადღეთ ღრმა აზრები კონსტანტინესი. ავტორი ასე იწყებს:

„ილია ქართველთა გენიოსი იყო, რასაც იმისი სიბრძნის გამომეტყველი პირისახე გვისარკეებდა (გვიჩვენებდა) და უფრო ნათლათ კი იმისი გრძნობიერი ნაწერები“.

ამრიგად ავტორმა ორი სიტყვით ცხად-ჰყო, რომ ილიას პირისახე „გვისარკეებდა“ მის გენიოსობას და ეს გამოკვლევა თავის თავად გვისარკეებს კონსტანტინეს გენიოსობას.

„ილია გენიოსი იყო, არა იმიტომ, რომ ის „ილია“ იყო, არამედ იმიტომ, რომ მას შესდგამდა მაღალ-აზროვნული ბუნება-მეცნიერების ნიჭი, რაიცა ნებას აძლევდა მას ეწერა და ებჭო უმაღლეს იდეებზე და შექმნილიყო გენიოსი“.

აქ ნათლად, კონსტანტინურად არის დამტკიცებული, რომ „ილია გენიოსი იყო, არა იმიტომ, რომ ის „ილია“ იყო. სახელი „ილია“ აქ არაფერ შუაში ყოფილა. შეიძლებოდა ილიას ილია კი არა, პეტრე რქმეოდა და აი, წარმოიდგინეთ, მაშინ ილია მაინც გენიოსი იქნებოდა. ეს გამოკვლევა სავსებით წააგავს კონსტანტინეს იმ გამოკვლევას; რომ ჩიტს თუ ტყვია მოხვდა, ვერ გაფრინდება. აქვეა ურყევლად დამტკიცებული, რომ „ილიას შესდგამდა მაღალ აზროვნული ბუნება-მეცნიერების ნიჭი“. ეს „ბუნება მეცნიერების ნიჭიც“ სულ ახალი გამოკვლევაა, რაც კონსტანტინეს უკვდავ სახელს მოუხვეჭს.

„ილიას გენიოსური გრძნობა დამყარებული იყო ზეშთაბუნებრივად მინიჭებულს მის დიადს ჭკუა-გონებაზე, რითაც წარმოიშობა ის გრძნობა“.

ეს ამონაწერი დიდებული „ზეშთაბუნებრივი“ წარმოშობაა კონსტანტინეს ჭკვა-გონებისა და გრძნობისა.

იმ გრძნობით გამოხატული აზროვნების სისრულეში მოყვანა კი, შედეგი იყო მისი გრძელი სულგრძელობისა რადგანც გენიოსს იმდენათ საქმის ნაჩქარევათ გაკეთება არ აჩქარებდა, რავდენათაც ის ცდილობდა გონივრულათ გაკეთებასა, და მიზეზიც ეს იყო, რომ, მის მიერ რედაქცია აღარ ესაჭიროებოდა მომავალათ გონივრულათ გაკეთებულ საქმესა“ (მართლ-წერა კონსტანტინესი დაცულია. კ.)

უნდა გამოვტყდე, აქ ისეთი ღრმა აზრებია, რომ ჩემი სიტყვით ვერ გადმოგცემთ ვიტყვი მხოლოთ, რომ „მომავალათ გონივრულად გაკეთება საქმისა“ საუცხოვოა.

ამოვწეროთ შემდეგი ზოგ-ზოგი მარგალიტები:

„ილია ჩვენი პოეტი იყო. ილია პუბლიცისტი იყო, ილია ბელეტრისტი იყო, არა იმიტომ რომ ის გენიოსობდა, არამედ იმიტომ რომ მას შესდგამდა: შემოქმედებითი ნიჭი მოლექსოპისა, მჭერმეტყველობისა და ჩვენი ცხოვრების დასურათხატებისა“...

„ილიას მრავალი მტერი ჯავდა თავის სიცოცხლეში, რადგანც იგი უძლევ გმირათ ითვლებოდა მათ შორის, რომელიც მრისხანე მქუხარებით თავზარსა სცემდა ხოლმე მათ, არა იარაღითა, არამედ თავისი მკაცრი და გამკვეთი სიტყვებითა, რითაც გენის ცეცხლს უკიდებდა სასტიკი მჭერმეტყველი მექომაგეთა გულ მუცელსა და ნაცარ-ტუტათ ხდიდა“...

აქ ყველაფერი კარგათ, ღრმათაა თქმული, მარა თავის მექომაგეთ რას ერჩოდა ილია,—ეს კი აღარ ვიცი; რათ უკიდებდა „გენის-ცეცხლს“ მექომაგეთა გულ-მუცელსა და რათ ხდიდა მათ ნაცარტუტად,—ეს ძნელი გასაგებია.

რად მოკლეს ილია? ამას კონსტანტინე ასე ხსნის:

„ილია რადგანც დიდი სასარგებლო პირი გახლდათ საზოგადოებისათვის,—შურით აღივსენ ვერაგნი, ვერ განიცადეს იმისი დიდებულება“ და მოკლესო.

„სირცხვილი ნაძირალებს!—წერს კონსტანტინე,—სირცხვილი ფლიდებს!.. მარა არა ნაკლები სირცხვილი ჩვენც მართლებს, რომელნი“..

აქ სამი წერტილია, რომელშიაც იგულისხმება: რათ არ ავიღეთ სისხლით. ეს, მე მგონია, არ არის ორიგინალური აზრი. ეს სხვა ჭეშმარიტ ქართველებმაც კი თქვეს.

ილიას მხეცური მკვლელობა

„უცხადეს ფაქტს გვიჩვენებსო,—ამბობს კონსტანტინე;—რომ რაც განათლება მეტია, უმეტესია შეუბრალებლობა და მხეცური გრძნობა, რაიცა სჭარბობს თვით განათლებასა“.

ესეც ახალი კონსტანტინური გამოკვლევაა, რასაც, იმედია ევროპის მეცნიერები ყურადღებას მიაქცევენ.

ასეთია მესხი კონსტანტინე გვარამაძის დიდებული ნაწარმოები: „სარკე ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა, ანუ დახასიათება მოკლეთ და მარტივათ“. ჩვენ კი თუმცა გაგვიგრძელდა ამ დიდებული ნაწარმოების დახასიათება, მარა მეტად ძნიაძი როლი ვიკისრეთ: ხუმრობაა გენიოსურ ნაწარმოების შესახებ წერა! აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კონსტანტინეს ეს გენიოსური ნაწარმოები ფრიად სისტემატიურათ დალაგებულია, ისე სისტემატიურად, რომ კონსტანტინეს ამაში ვერც ერთი ჩვენი მწერალი ვერ შეედრება, გარდა ილია ნაკაშიძისა.

კენტი.

---

## პეტუას ჩივილი.

ნეტა ვინ მოიგონა,
აგარაკი, „დაჩაო“,
ეს ოხერი სახლები,
ცალიერი დამჩაო.

„გარაცკოი“ აგენტმა,
იმ დღეს დამიყვირაო:
„რა ქენი, ვერ აიღე,
სახლებისა ქირაო?“

ვალი რით გავისტუმრო,
„კაზიონი“ ბანკისა?
ჯიბეში არ მიჭყავის
გროში, ერთი მარკისა!

ჩემ ჯიბეში, რომ გითხრათ,
თაგვების მიტინგია,
მალაყობენ თითქოსა,
ნიკიტინის ცირკია!

საიდან შევიტანო,
ის რაღაცა „ნალოგი?“
ან ფული სად ვისესხო,
რომ არა მაქვს „ზალოგი“

ეჰ, რა გითხრა დროებავ?
დაგეწყევლოს „ზაკონი“,
სულ დამიცალიერდა
ოთახი და ბალკონი?!.

მ. ლელაშვილი.

## ქართველი მოღვაწეები



(დოქტორი ეკონომიური პოლიტიკისა და სტატისტიკისა)

### ფილიპე გოგიჩაიშვილი.

**პირველი წლები.** შუხუთის სამრევლოს მოძღვარ გაბრიელ გოგიჩაიშვილის ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელსაც წმინდა ნათლის ღებაზე უწოდეს ფილიპე. პირველი წლები ჭაბუკმა სოფ. ლანჩხუთში გაატარა და სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ გადმოყვანილ იქმნა თფილისის სამღვდლო სემინარიაში. ამ ხნის განმავლობაში ახალგაზრდა ფილიპეს ცხოვრებაში განსაკუთრებით საყურადღებო არაფერი მომხდარა. სემინარიის დამთავრების შემდეგ მღვდლობა არ ინება და ჭიათურაში შავი ქვის მწარმოებელ ღოღობერიძესთან ნოქრათ დადგა.

**სამზღვარ გარეთ** ღოღობერიძესთან სამსახურის დროს აშკარათ დაეტყო სემინარიის სტუდენტს ფილოსოფოსის ნიჭი და გაგზავნილ იქმნა საზღვარ გარეთ სწავლის მისადებათ. ის დაბანაკდა გერმანიაში ქალაქ ლეიპციგში და ადგილობრივ უნივერსიტეტში ფილოსოფიურ ფაკულტეტზე შევიდა.

**მღვდლობის ხალისი.** ლეიპციგის სტუდენტობის დროს ფილიპემ მიიღო მოხუცი მამის წერილი, რომლითაც გაბრიელი აცნობებდა შვილს: არ დაეკარგა შუხუთის მღვთის მშობლის მრევლი და მღვდლათ კურთხეულიყო. „მე სიბერემ მიწია და ნუ დაჰკარგავ ასეთ კარგ მრევლსაო“ სწერდა მოხუცი მამა. თხოვნამ გასჭრა მორჩილ შვილზე და ნახევრად ფილოსოფოსმა ფილიპემ თხოვნა წარმოავლინა ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორაში, რომლითაც დაბეჯითებით ევედრებოდე მიეცათ მისთვის მამის ადგილი შუხუთის ღვთის მშობლის ეკლესიაზე. თხოვნის აზრი ჩვენ ლექსათ ჩაგვივარდა ხელში და იძულებული ვართ ეგრე გავაცნოთ მკითხველთ:

„ოდეს კურსი დავამთავრე,
კურსი სემენ-რიისა,
თავს უღირსათ მივიჩნევდი
ლოცვა მეწყო მე უფლისა.
განვლო ჟამმა... დავვაქკაცდი.
შევიქენი სრული წლისა
ახლა თავსა მწიფეთა ვგრძნობ;
ღირსი ვარ მღვდლის ალაგისა.
უკვე იცით მ-მა-ჩემი
მოძღვარია თქვენი წრისა
შუხუთს მრევლი აბარია,
მრევლი წმინდა მღვთის მშობლისა
ჟამთა ვ-თარების გამო
მოიღალა მონა ღვთისა
და გთხოვთ ახლა მე გამხადოთ
ღირსი მამის ალაგისა...“

შემდეგ ფილოსოფოსი საბუთიანა იმართლებს თავს, თუ რისთვის არ სურდა წინეთ მღვდლობა და ახლა რათ მოეხალისა. კანტორამ სასიამოვნოთ მიიღო ფილიპეს ესეთი განზრახვა და თხოვნას სასურველი რეზოლიუცია დააწერა.

**დოქტორობის ხარისხი.** რალაც მოსაზრებით ფილიპემ მღვდლობა აღარ ინება და ისევ ეკონომიურ პოლიტიკის საქმეებს დააწვა მან დასწერა საქართველოს მრეწველობის შესახებ ვრცელი მოხსენება და ამით დოქტორობის ხარისხი მიიღო.

**სამშობლოში დაბრუნება.** საქართველოდან წასვლის დროს ფილიპ გაბრიელის-ძე ეგრეთ წოდებულ „მესამე დასელთა“ შორის ირიცხებოდა, ხოლო გადოქტორების შემდეგ სამშობლოში „პირველ დასელათ“ დაბრუნდა. „ვიწრო“ მარქსისტული შე-

ხელულება ვერ შეიფერა მისმა ფართე ეკონომიურმა მადიანობამ და „საერთო სამოღვაწო ნიადაგზე“ დაიწყო მსჯელობა. აქედან აშკარა იყო მისი „ძველი“ ტყავიდან გამოძრომა და კვლავ შეძრომის შეუძლებლობა, რამაც ფრიად გაახარა როგორც პირველი, ისე მეორე დასელნი.

**„ცნობის ფურცელში“ და „ივერიაში“.** საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ფილიპე „ცნობის ფურცელს“ ჩაებუდა და როგორც ამბობენ 1500 ქანქარი შემოსდიოდა.

ამავე დროს ის ითვლებოდა თავად აზნაურობის სტატისტიკოსად, რისთვასაც იღებდა 2500 ქანქ. ამავე ხანებში მიანდვეს მას ძმ. ზუბალოვებმა გაზეთი „ივერიის“ რედაქტორობა და მიუხედავათ ქართული გაზეთისათვის უჩვეულო სუბსიდიისა პირველ ხანებში ფილიპეს თანამშრომლების შოვნაც კი გაუჭირდა. „უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდენო“ ამბობს ხალხური ანდაზა და სწორეთ ამით აიხსნება ივერია'ში პეტრე სურგულაძის „მეთაურები“.

**რას ქვია მოღვაწეობა.** უმთავრესი მუხლი საქვეყნო მოღვაწეობისა ფილიპეს მეცნიერებით არის „წარმოშობა ქვეყნათ მონათა და მხევალთა.“ ამ მხრით გაცილებით უფრო დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეთ ჩაითვლება რომელიმე წვრილ-შვილი საგურამოელი გლეხი, ვიდრე ილია ჭავჭავაძე, რომელსაც, როგორც ვიცით, შვილი არ დარჩენია. თითონ ბ-ნი ფილიპე დაქორწინდა და კვლავ სამზღვარ-გარეთ გაემგზავრა სწავლის განსაგრძობათ.

**კუჭი და დოქტორის ხარისხოვნება.** იმ ხანებში, როცა ახალ-გაზრდა ფილიპე „მესამე დასელის“ ქურქს ატარებდა და ამგვარათ „კუჭისტთა“ რიცხვში ითვლებოდა მისი წლიური შემოსავალი იშვიათად აღემატებოდა 600-700 ქანქარს. ხოლო როდესაც სამშობლო ზუბრებმა და სამშობლო ბურჟუაზიამ კარი გაუღო როგორც „უკუჭოთა“ ფედერაციისადმი მიდრეკილს, ქანქართა რიცხვმან აღიმატა ვიდრე 4000-4500 ქანქრამდე და შეიძლება უმეტეს ამისა.

**მეორეთ მოსვლა ფილიპესი.** როგორც მოგახსენეთ უკანასკნელ სამოღვაწეო აქტის (ანუ ჯვარის წერის) შემდეგ ფილიპე ისევ საზღვარ გარეთ მიიგრაგნა, სადაც დაჰყო თითქმის წელიწად ნახევარი. დღეს ის კვალათ მოევლინა სამშობლოს საკეთილ-დღეოთ და იმედია მალე ჩადგება ქართველ მოღვაწეთა რაზმში.

**ისტორიკოსი.**




**გურული მონადირე მე-XX საუკუნისა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავისუფლება.

(ვუქლენი ლეოს)

ვით მოციმციმე ვარსკვლავი ცაზე
განმარტოებით შორით მჩინარე;
ისე მეხატვის რწმენა ნასახი
ჩემი ვარსკვლავი, ტკბილი მთოვარე; —
ოდეს გრიგალი ცხოვრების ზღვაზე
ამღის, აჭოვანტავს სევდის ღრუბელსა,
მასაც მიჭმალავს, უცბად მიჭმალავს
ჩემსა ვარსკვლავსა, ჩემსა დამწველსა.
და მეჩვენება-შეთქმულებისა
სამზადისშია თითქოს ბუნება,
შავ კუბოში წევს უღვთოთ შეკრული
არწივი ცისა, თავისუფლება...
უსამართლობა ტევესა ციურსა
ქაჯთა უმღერის საგალობელსა
და ღრუბლათ შეკრულ ცრემლებით ყოვლის
ის დედამიწას სამადლობელსა.
შავი სამარე იქ გაუთხრიათ,
სად კლდეა, მეხით ჩამონგრეული,
ცხედარს წინ უძღვის უსასოება,
ჯოჯოხეთიდან გამოწვეული.
მეორე მხრით კი, ცის განაპირას
დილის რიჟრაჟი ბრწყინავს, ციალებს,
მას ფრთას შესხმული შურის ძიება
გუნდ-გუნდ ღრუბლებათ თავს დასტრიალებს!
ზღვა ჭქუხს, ზღვა გრგვინავს, ფაფარ აშლილი
ზვირთს ზვირთზე ისვრის, — მტერი გაებას, —
ზარის ხმას უმღერს კაეშნიანსა
შორს, შორს ჩამარხულს ჩემსა ღვთაებას!..
უცბად ვერკვევი!.., —
ეგ ოცნებაა:
ის გულში ღვივის-ტრფობის საგანი, —
და მავიწყდება დროებით მაინც
ციხე და ჯაჭვი, შავი საკანი!

**იასამანი.**

---

# წერილები ეშმაკისადმი.

## თბილისიდან

**ავლაბარი.** ეშმაკო! ავლაბრისაკენ,
მგონი არ გამოგივლია;
რა ვქნათ, რომ ჩვენი დარდები,
ვერვისთვის შეგვიჩივლია!
კიდე გახშირდენ აქეთკენ,
მკითხავებ-მარჩიელები,
ღარიბებისა ჯიბეში,
რომ ურევიათ ხელები.
ამათ ყავთ აგენტებიცა,
ცხოვრების ნაძირალები,
რომ ვერ მოვიდენ ჭკუაზე,
ვერ გაახილეს თვალები.
ნახვენ ხამს, დალონებულსა,
უწყებენ დარიგებასა,
„წამოდი ძმაო, მკითხავთან,
თუ ეძებ დამშვიდებასა:“
მიჰყავთ მიტროსთან, ვანოსთან,
ვინც მოლაქლაქე, ყბედია,
მითომ უხსნიან რაც საწყალს,
ამ ქვეყნათ გადაჰხედია!
ასეთი შანტაჟისტები,
სუყველა ხალხის მტერია,
რომ გადმოგვხედო, მოფრინდე,
მგონი რომ ჩვენი ჯერია!
თან წამოიღე თუ ძმა ხარ,
კუდინი ერთი დოქითა,
იმდენი ურტყი მათრახი,
გეხვეწებოდენ ჩოქვითა!..

**შმაგა.**

—

## პროვინციიდან.

**სამტრედია.** ამას წინათ შეგპირდით მუშების შესახებ ამბის მოწერას და ვასრულებ ეხლა. მარა წინდაწინვე უნდა იცოდეთ, რომ კარგს ვერას მოგწერთ. აქაურ დეპოს შავ მუშებს ქონდათ პროფესიონალური კავშირი, ხაზინადრათ აურჩევიათ იაგორა. იაგორას ფულები უგროვებია, შემდეგ იაგორა ამდგარა და გაუსესხებია. კარგათ იცით, რომ სესხის აღება ეხლანდელ დროში ადვილი არ არის. აიღო თუ არა იაგორამ ეს ფულები ალლახმა უწყის, მხოლოდ პროფესიონალური კავშირი კი პირში ჩალა გამოვლებული დაგვირჩა.

— ჩილინგრებისთვის ამ დღეებში უნდა დაერიგებიათ ფულები. მექანქრეს წამოეღო 5000 მანათი, მარა დანიშნულ ალაგას ველარ მიიტანა, რადგან გზაზე ასწაპნეს. მეორე დღეს მაჭარაძის დუქანში იპოვეს 50 მანათი, მარა აბა ეს რას უშველიდა?

— სახარატო (ტოკარნი) ცეხში კიდევ უფრო ახირებული ამბავი დაემართათ. ამ რამდენიმე ხნის წინათ მათ დაადგინეს ეგროვებიათ ფულები და შემდეგ ერთათ დახმარება უნდა გაეწიათ უმუშევრათ დარჩენილ მუშებისთვის. ფული კარგათ ბლომათ შეგროვილა. ხაზინადრათ აურჩევიათ იოსებ კანდელაკი, რომელსაც შეგროვილი ფულები თავის კუჰში უგროვებია. (კაი ალაგი კი მოუნახავს) ამ გვარათ მუშებს შეგროვილი ფულების მაგიერ იოსებ კანდელაკი შერჩათ ხელში, ფულებით გატენილი კუჰით. აქაურ პარიკმახერების შესახებ შემდეგ წერილში.

ფრიალეთი.

—

**ჭიათურა.** ჭიათურას, წყალს გამოღმა
რკინის გზასთან დუქანია
იქ ბრძანდება „ილარიონ“
ჩარჩი, ჯიბე მსუქანია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააკვირდი თუ ძმობა გწამს,
როგორი აქვს სასწორია,
შენ მიხვდები, ეშმაკი ხარ;
თქმა არ გინდა მე მგონია.
როგორც ნახო, შეამოწმო;
მისი მრუდე სასწორ-გირი,
თუ კაცი ხარ სცხე მათრახი
და ადინე ზურგზე ბღვირი.
ეწყინება ნიკიფორეს
მისი სიძის რევიზია,
მაგრამ დახვდი მათრახითა
თუ რომ შენსკენ მოიწია.

ზ—ნი.

—

**დიდი ჯიხაიში.**—ამ დღეებში აქ ერთი არა სასიამოვნო ამბავი მოხდა: აქ არსებობს ქსენონი, რომელსაც კარგა ხანია განაგებს ექიმი ლორთქიფანიძე, განაგებს ისე როგორც მის სულსა და გულს უნდა, სადაა ან კანტროლი, ან სხვა რამ. რასაკვირველია ეს ძლიერ ხელ საყრელი იყო ექიმ ლორთქიფანიძისა და მისი ფართე კუჭისთვის. მაგრამ დახეთ უბედურებას ეხლა საქმის გამგეობა საზოგადოებამ არჩეულ კაცებს ჩააბარა. ეს ამბავი არც ისე სასიამოვნოთ დარჩა ექიმს, რადგან ქანქარი ძლიერ უყვარს, საჭიროა განქიქულ იქნას ყველა მისი ძველი მოღვაწეობა, მარა სად არის კაცი? დაწვრილებით შემდეგ.

გლეხის შვილი ს—პ.

—

**ქ. კავკავი.** უნდა იცოდე ეშმაკო
კავკავში რა ამბავია
ჯაშუშებს, „პრავაკატორებს“
აქ მოუყრიათ თავია.
დროთ მოსარგებლე ვაჭრებმაც
მცხოვრებთ დააძვრეს ტყავია
და ნოქარ-მოსამსახურებს
დღე დააყენეს შავია.
ან ჩვენი „ხაზეინები“
რა ტურფა სანახავია,
როს ზურგს უმაგრებს ბნელეთში
მფრინავი ყორან-ყვავია.
საერთოდ მუშებს ღრმად სძინავთ
მოწყვეტილს სახლს და კერასა,
დაუკრეფიათ გულ ხელი
ზეცით ელიან შველასა.
უსიტყვოთ დამონებიან
თავიანთ „ბედის წერასა“
და ქედს უხრიან მონურათ
განურჩეველათ ყველასა
მოკლეთ ვსთქვი ჩვენში რაც ხდება
დროებით შევსწყვეტ წერასა,
ცოტა ხნის შემდეგ აგიწერ
ჩვენს უკან ჩამორჩენასა.
მაშ მოამზადე „კუდინი“
„მათრახს“ მოჰკიდე ხელია
ზოგს ჩააწვეთე „ლეკარსტვო“
ზოგს ზურგის ასაწველია.
დეე იგემონ ორივე
როგორი გემრიელია,
მაშ ასე, „მათრახ-კუდინით“
ამ მოკლე ხანში გელია.

დ. მოხევე.

—

**ჩოხატაური.** არა მგონია ასეთი „გადაიმასქნა“ გაგეგონოს გურიაში, რაც მოხდა ახალ საკეთებელ ხიდზედ სუფსის პირად. ეს ჩვენი „ბაყ-ბაყ-მდევი“ იასონი თუ ამას ჩაიდენდა არავის ეგონა, არც ხიდზე მომუშავე მუშებს ეგონა რომ მრავალი ფაქტების შემდეგ ინჟენერი ფონ-შმიტტი ასეთი საზიზღრობის ჩამდენს ადგილიდან არ დაითხოვდა და მათ მოთხოვნებს კომენტარიების კეთებას დაუწყებდა და გულგრილად შეხვდებოდა, მით უმეტესად წარმოუდგენელია რომ ჩვენი ზოგიერთი სოციალისტები...

— ჩვენს დაბას ბლომად მოაწყდა ქურდ-ბაცაცები, მათში ისეთებიც არიან, რომლებსაც თავის თავი ს. დ. მოქონდათ ერთობის დროს, ეხლა ეს ვაჟბატონები შეიარაღებული ნამდვილ პარტიის წევრებს სდევნიან, ვინაიდან მათი განქიქილება მოინდომეს; ეცნობოს ეს ხეობელს მისი ისტორიის შესავსებათ.

— ქანქარის ყლაპვას მოჰყვა, აქაური დამხმარებელი ბანკის „სულთა-თანას“ სიმღერა, დაკრძალვის დღეს გაცნობებთ, მოამზადეთ კუდინი ნელსაცხებლათ.

— მეეტლეთა ძმაბიჭები გაფაციცებით ეძებენ „ყვავს“ მათთვის „ანტი ბახუსინინს“ გამოწერისათვის, გაიფიცეს გაზეთის წამოღებაზე, მოგვაწოდეთ გასამასქნებელი.

დემონი.

—

**საბუნჩა.** აი რა ხდება ჩვენს კუთხეს
და რას სჩადიან „გმირები“,
თუმც მათ რომ ჰკითხო თავს რაცხენ
ვით საიმედო პირები:
რა შებინდება ჯგუფ-ჯგუფათ
იზმენ დუქნებში ყრილობას,
და სიმაგრეზე სასმლების
იწყებენ ცხარე სჯილობას.
მოჰყვება ღვინო, „შარტრესი“,
სმენ „ჟამიერის“ მღერითა;
რა დათვრებიან „მონახორს“
ყლაპვენ ცეცხლ წაკიდებითა!.
გამოვლენ, გზა-გზა დადიან
ყვირიან ათას ხმებზედა,
ხან ცხვირს უმტვრევენ ერთმანერთს,
ხან საქმე მიდის კეტზედა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვა კასსირი' არიგებს
ვისიც რა ჯამაგირია;
იმან არ იცის თუ ამ დღეს
ვის გაუშრება პირია.

იწყება კარტის თამაში
„ცხრა“ და „რვა“ გადაშლილია
და მთელი თვი'ი ნაღვაწი
ერთ ღამეს წაგებულია.

არავის ახსოვს იმ წამსა
არც ცოლი, არცა შვილია
და ბაქარაში თამაში
მათთვის არს დიდი ლხინია!

ღამე ნათევი, უძილო
სამსახურს იწყებს დილითა;
აბა მითხარი-რა საქმე
გაკეთდეს ამ გვარ გმირითა?

ამისთანა ატმოსფერა
არსებობს მთელს „ბოლნიცაში“
და ამ გვარი საქციელი
გამჯდარი აქვს ყველას ძ-რღვში.

ალია თათარი.

—

**ს. მაღლაკი.** —ჩვენი მასწავლებელი ანდრო ფურცელაძე ხან სამიკიტნოში ქეიფობს და ხან შკოლაში· როცა სამიკიტნოში მოსწყინდება არღნით და ძმა ბიჭებით სკოლაში გადადის და ისე ქეიფობს როგორც ერთი ავლაბრელი ტლუ ბიჭი. ანდრიას მარჯვენა ხელია ერთი აქაური კნიაზი, „ერთათ ქეიფი, ერთათ ჩხუბი და ერთად სიკვდილი-“ო აი ანდრიას და კნიაზის სადღეისო ლოზუნგი.

ს. გ. მარჯანაშვილი.

—

**ს. ხიდისთავი.** (გურია) ჩვენებური ბავშვები (რასაკვირველია დიდების წახედულობით) მეტათ დაეწაფენ კულტურულ განათლებას, რაიცა გამოიხატება კარტისა და ნარდის თამაშში ამ გვარ განათლებას შედეგათ მოყვა ბუდიდან კრუხ-წიწილების და კვერცხების ქურდობა. ამ გვარი გზით ჩვენი ახალითაობა ეჭვი არაა ძალიან წინ წავა.

მაყურებელი.

—

**სუფსა**—„სიცოცხლე ბარიშნა თქვენი,
მე გახლავარ „კნიაზ მაჩაბელი“

?!!!

—

**ს. აცანა.** ყოვლად შეუძლებელია
ძმაო ეშმაკ, რომ არ გვნახო!
და იცოცხლე ბევრი დაგხვდეს
ჩვენ სოფელში სამათრახო.

საქალებო სკოლის ეზოს
გამოსკოლისწინებული,
„ნაჩალნიცა“ კლავდია ზის
ქალი გამოჩინებული.

აფიცერთან მოსეირნე,
ქვით დიაცი მისი ფასი,
კოწიასი გულის ვარდი,
„ბივში“ სატრფო იაშასი.

„ვერხომ“ უყვარს სეირნობა,
მიხვდენი'ლი ქალიცკია:
კვირას, რომ ლანჩხუთში წავა
ორშაფათიც “პრაზდნიკია“.

სამშაფათს, რომ დაბრუნდება
მოუნდება ტკბილი ძილი,
სხვა ოთხ დღეს კი მეცადინობს
მამაცხონებულის შვილი.

ამისათვის გთხოვთ, ძმობილო
მათრახი არ დაიშურო
და საჭიროთ თუ კი იცნო
ეს დიაცი შეგვიხურო.

ისკანდერ.

—

**ბათუმი.** გაუწყებთ პატივცემულო საზოგადოებავ, რომ მაისის ერთ მშვენიერ დღეს ქ. ბათუმში ფრიად საგულისხმიერო ამბავი მოხდა. ახლათ ჩამოსული ინტელიგენტები, სუდენტებათ წოდებულნი, ფრიად და ფრიად შეზახორშებულნი ბათუმის ერთ-ერთ სარდაფში, შუადღეზე ამოცვივდენ ზევით, ჩაცვივდენ ფაიტონში, ზოგი „კოზლაზე“ შეხტა, ზოგი ცხენებ გადააჯდა და ასე დიდებულათ მოკურცხლეს ქალაქის ქუჩებში. იქნევდენ ქუდებსა, უშვებდენ სუდენტურ ყანყრატოდან მქუხარე ხმებსა, არღვევდენ მკვდარ ქუჩების მყუდროებასა და იყო დიდი ზარი და ზეიპი. დაშინებული ხალხი გარბოდა ქუჩიდან, რომ ფაიტონს ქვეშ არ მოქცეოდა.

რომ შემდეგში არ განმეორდეს ესე საჭიროა 10 საწყავი ანტიბახუსინი. ბიქტორ სუდენტს ორი საწყავი დასჭირდება, ვარელოვს-სამი და დანარჩენს თითო თითო. გამოგზავნეთ ტელეგრამით.

— ზოგიერთი ყმაწვილები, „ფლოტსკაია, პერელინაში“ გახვეულნი, გაგვიმანდილოსდენ. „ნექნათ“ წრიპინი იწყეს და სახეზე სქლად პუდრს იყრიან. რა ეშველება ასეთ ხალხს? მანდილოსნები მათ მანდილოსნათ არ ცნობენ და მამაკაცები-მამაკაცებად. ბათუმში ასეთ ვაჟბატონებისათვის დაარსდა „არც ქალია და არც ვაჟიას“ სახელით კლუბი რომლის წევრათაც „პუდრიანი“ ვაჟნი ირიცხებიან. თუ ასეთ „პუდრიანებს“ უშველის რამეს კუდინი-გამოგვიგზავნეთ 17 საწყავი.

— ქალაქის თავი დაგვეკარგა პეტერბურგში. ვინც მონახავს და მოგვიყვანს, პრემიათ მივცემთ თვითმართველობის კასას შიგ გამოზრდილი თაგვებით.

— სასტუმრო „ფრანციაში“ ივანე კახიანი კვლავ ივანე-კახიანობს. მის შესახებ „ნაპერწკალში“ მოთავსებულმა კორესპოდენციამ სულ გააკეხიანა. სულ იბღვირება და დორბლებსა ჰყრის. ერთი სიტყვით გადაგვერია კაცი. საჭიროა ასეთ გულ-ფიცხ ადამიანებისათვის დასამშვიდებელი წამლის გამოგონება. ცივი წყალი მათზე არ მოქმედობს.

იაძე.

## ი ა ს:

(ვუძღვნი იასამანს).

ის გადიფურჩქნა გაზაფხულის პირველ დღეებში,
საამო სუნი არე მარეს გაუზიარა
და აუშალა მიმალულმა მორცხვად ბუჩქებში
ყველას, მის მნახველს, გულის წყლული, გულის იარა.
დარიბ სამკაული მოქვლინა იგი ბუნებას,
მაგრამ ძლიერი იყო მისი სურნელოვნება,
მიტომ უძღვნიდენ ყოვლის მხრით მას ქებათა ქებას
და იმის გამლას შეჰხაროდა მთელი ბუნება!
მეც-დატანჯულსა გულს აღმეძრა მისი ტრფიალი
და გატაცებით მის ფურჩქნილმკერდს ვეწაფებოდი,
გული ტოკავდა, ედებოდა მას ცეცხლის ალი
და წინ ვიწევდი განსაცდელის წინ აღარ ვსდგებოდი.
მაგრამ დაჰბერა ცივმა სიომ, შეირხა ისა,
მიწას გაეკრა, გაინაბა, დახარა თავი
და სადაც ადრე იდგა ნორჩი გაზაფხულისა,
დღეს იქ მხოლოდღა პარტახია გულისაკლავი!
მაგრამ ნუ გაკრთობს, მეგობარო, ბედის ტრიალი;
ამ პარტახს ისევ მომავალი გამოაბრუნებს!
მაშ, მხნედ! დავცალოთ სევდა ბოღმის მწარე ფიალი
და ვსძლოთ ყველა, რასაც ბედი მწარეს გვარგუნებს!..

**ნ. ზომლეთელი.**

---

## ერთობის ხალხი.

(იხ. „ეშმ. მათ." № 34)

(გაგრძელება)

გამოსვლა მესამე.

**იგინივე და ტიტიკო ჩაყლაპაძე.**

**სალ.**—(გაბრაზებული მიუბრუნდება ტიტიკოს და ქოლგას მოუქნევს) უზრდელო! ტუტუცო! მხეცო! (ყველას) არა, თქვენ იძახით ერთობის ხალხი ვართო? თქვენ ხართ ერთობის ხალხი? ისიც კი არ იცით, რომ ქალს მორიდება უნდა? (ტიტიკოს) მხეცი! უზრდელი! (ტიკიკო შეურაცხყოფილათ შეხედავს, ყველანი იცინიან. სალომე გაკაპასებული ქოლგას იატაკზე აბრახუნებს) დამცინით?! დამცინით?! სასაცილოთ მიგდებთ?! (ისტერიული ტირილი აუვარდება და გარბის).

**ტიტ.**—(ჯაგარივით აბურძგვნილი, დიდი ულვაშები აქვს, ცოტათი მელოტია, ცხვირი ზურნას მიუგავს. ხშირათ იცინის. გავა თუ არა სალომე ის მუცელზე ხელებს მოიჭერს და გულიანათ ხარხარს მოყვება, რომ მეტის ძალდატანებისაგან სახე ძალზე გაუწითლდება და თვალები აეცრემლება) ვაიმე, მოვკვდი!... ჩამამტვრია გულ ბოყვი, ისე მეძგერა ის ოჯახ დაქცეული. ვაიმე! ვინ არის, კაცო, ეს გამწყრალი ანგელოზი?! (ხარხარებს).

**ბესო.**—(სიცილით) ლამაზია ძალიან არა?

**ტიტ.**—კაცო, მე არც კი შემიხედია. ისე დამეძგერა, რომ შიშით კინაღამ გული გამისკდა. მე პოლიციელი მეგონა და ისევ უკან გაქცევას ვაპირებდი. არა, ერთი მითხარი, რა უნდოდა აქ ან რა ატირებდა?

**სამს.**—(გაჯავრებით) ღმერთმა ნუ იცის მაგათი თავი, ყველა აქ მორბის. რა ნახეს ნეტავი აქ მაგ ოჯახ დასაქცევებმა?

**ტიტ.**—(მივა ახლო რედაქტორთან და დაჯდება. სერიოზულათ) არა, მართლა რა უნდოდა?

**სამს.**—(ბრაზიანათ) რა უნდა და ქმარი გაქცევია და აქ ეძებდა.

**ტიტ.**—(ხარხარებს) ქმარი გაქცევია? მერე რა? აქ ხომ არ ეგონა დამალული?

**ბესო.**—(სიცილით) უქმროთ გაძლება არ შემიძლიაო და ტიტიკო მომეცით ჩემი ქმარის მაგიეროთ (ყველანი იცინიან).

**ტიტ.**—(გაჯავრებით) დაიკარგოს აქედან. ტიტიკოს თუ ცოლი და შავი ჭირი სდომოდა უცოლოთ არ დაბერდებოდა. მაგისთანა ცოლი მტერს, მეორე ჯერ რომ კიდევ დამეძგეროს ასე მეტი არ მინდა.

**ვიქტ.**—მაშ, მუდამ უცოლოთ უნდა იყო?

**ტიტ.**—მერე ცუდია თუ? ქე ვარ ჩემთვის არხეინათ, როცა მინდა დავწვები, როცა მინდა ავდგები, როცა მინდა ვჭამ. ჩემი თავის ბატონ-პატრონი მე ვარ.

**ბესო.**—ასეთი ლამაზი ცოლი, რომ გყავდეს არ გინდა?

**ტიტ.**—მაგის ყოლას, ჩემო ძმავ, მტკვარში რომ გადავარდე ის სჯობია. მაგი რომ ჩემი ცოლი იყოს ამ ქვეყანაზე აღარ დავდგებოდი.

**სამს.**—კარგია თავი დაანებეთ მასხრობას, დრო მიდის უნდა დავუჩქაროთ მასალა თორემ, გაზეთი დაგვიანდება. დავათაოთ ბარემ წერილის წაკითხვა (ტიტიკოს) ერთი ეს მითხარი როგორ არის საქმე, გაიყიდა გაზეთები დღეს ბლომათ? დღეს თუ ჯამაგირი არ მოგვეცი ყოვლად შეუძლებელია.

**ტიტ.**—ვიანგარიშოთ და თუ კი რამე იქნება ვინ დაგიკავებსთ.

**ბესო.**—(გაჯავრებით) არა ასე ყოფნა შეუძლებელია, ე ოხერი ყოველ დღე ანგარიშობ და ჩემთვის ორი თვის ფული არ მოგიცია.

**ტიტ.**—თუ არ არის რა უნდა ვქნა, ხომ ვერ გავსჭედ?

**ვიქტ.**—არც მე მიმიღია ორი თვის. გაზეთების გაყიდვა მატულობს და ფული კლებულობს, რა მიზეზია ვერ გამიგია?

**ტიტ.**—(წყენით) მე ხომ არა ვსჭამ. აგერ, ვიანგარიშოთ და დაინახავთ რაც არის (იღებს საანგარიშო ჩოთქს, მიჯდება კუთხეში და ანგარიშობს) ხელზე გაყიდვიდან შემოვიდა 45 მან. (ჩააგდებს) პროვინციიდან... ეეე! (ფიქრობს).

**ბესო.**—(წამოდგება და მივა ახლოს) ჩემი ანგარიშით მარტის მერგება 57 მანათი, ასეა ხომ?

**ტიტ.**—(გაჯავრებული ხელს აქანებს) ნუ მიშლი! (ანგარიშობს) პროვინციიდან... მმმ... ეეე! ორმოცდა... ორმოცდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტ. — (წამოდგება და მივა ახლოს) მე თებერვლის...

ტიტ. (ბრაზიანათ) ნუ მიშლი, ნუ მიშლი! პროვინციიდან... ეეე!.. მმმ... ეეე... ორმოცდა.. ორმოცდა ..

სამს. — (წამოდგება და მივა ახლოს) მე მარტო ჰონორარი...

ტიტ. (გაბრაზებული გაიქნევს ჩოთქს და ანგარიში შეეშლება. ყვირის) დამაცადეთ, კაცო, დამაცადეთ! ნუ მიშლით! შემაშლევინეთ და ეხლა ისევ თავიდან უნდა დავიწყო. (ანგარიშობს) ხელზე გაყიდვით შემოვიდა 45 მან. კარგი (ჩააგდებს) პროვინციიდან... მმმ... ეეე... მმმ... (ფიქრობს)

სამს. (გაშტერებით უყურებს) რა ოხერი „ეეე და „მმმ“ გაგეჩხირა მაგ ოხერ ყელში? აღარ გახსოვს რამდენი მოგცა ფული აგენტმა?

ტიტ. — (გაჯავრებით თავს აქანებს) ნუ მიშლით!.. პროვინციიდან ეეე... მმმ...

ბესო. — (სიცილით) კაცო, მაგას თუ ვუყურეთ როგორც ეტყობა ეეე და მმმ-ს აღარ გაათავებს, დაგვრჩება გაზეთი. სადაც არის ასოთ ამწყობები მოგვადგებიან.

სამს. — (ბესოს და ვიქტორს) მოდით, კაცო, თორემ მაგის ზლუქუნს თუ ვუყურეთ ველარც წერილს წავიკითხავთ და ვინმე ოხერი კიდევ შემოეხეტება. (მოვლენ მაგიდასთან და დასხდებიან. სამსონ განაგრძობს კითხვას) ჰო, „ფეხ ქვეშ გათელილი, გალატაკებული, ხალხი გმინავს რეაქციის მძიმე უღელ ქვეშ...

ტიტ. — (ისევ ისე) პროვინციიდან ეეე... მმმ...

სამს. — (გაჯავრებით) აი, გაგიწყრა ჩემი გამჩენი!

ბესო. — (სიცილით) ყველა დიდი ჭკუის პატრონ კაცს ასე სჭირს. ხომ იცით რა ძნელი გამოსაცნობია რამდენი ფული მისცა დღეს აგენტმა. ჩვენი ტიტიკოც ღრმათ ჩაუკვირდა ამ საკითს და ეეე და მმმ...-ო ჭკუას უხმობს. (ყველანი იცინიან).

სამს. — (განაგრძობს) „გაბოროტებული მთავრობა შეუდგა ცეცხლითა და მახვილით...

ტიტ. — (ისევ ისე) პროვინციიდან... ეეე...ორმოცდა... ორმოცდა ხუთი... ხუთი მანეთი... (ამოიხნეშებს და ჩააგდებს ჩოთქზე)

სამს. — ღმერთო მადლი შენ. ეშველა, გამოიცნო. ეხლა კი მოგვასვენებს მგონია (განაგრძობს) „მის წინაალმდეგ ამხედრებულ ხალხის მიწასთან გასწორებას“...

ვიქტ. — (თავს აქანებს) ძალიან მაგარია, ძალიან მაგარი!

ბესო. — შეუძლებელია ასე ამ წერილის გამოშვება.

სამს. — (წყენით) მაშ როგორ გინდათ?

ტიტ. — (ისევ ანგარიშობს) ხელზე გაყიდვიდან შემოვიდა...ეეე... 45 მანათი... პროვინციიდან .. ეეე... ორმოცდა... ეეე... ხუთი მანათი სულ .. ეეე... მმმ...

სამს. (ხელებს გაასავსაგებს) დავიღუპეთ, კიდევ დაიწყო.

ბესო. — (სიცილით) აბა ეხლა იკითხეთ ეეე-ს ძახილი. ეს დიდი ამოცანაა და დიდხანს მოუნდება ჩვენი ტიტიკო.

ვიქტ. — (წყენით) გული კი გაგვიწყალა მაგ ოხერმა და როგორც გინდათ ისე სთქვით. (ადგება და დადის)

ტიტ. — (ისევ ისე) სულ... სულ... ეეე... მმმ... (ამ დროს კარები ნელა იღება და თავს შემოყოფს მამა ნიკიფორე)

გამოსვლა მეოთხე

**იგინივე და მამა ნიკიფორე**

სამს — (დაინახავს თუ არა ნიკიფორეს თავში ხელს შემოიკრავს) ვაიმე! დავიღუპეთ! აბა ეხლა მაგის ლოცვა-კურთხევას უყურეთ.

ბესო. — იმდენი იძახა, ჩვენმა ტიტიკომ „ეეე და მეეეო“, რომ ხუცესს კი არა ეშმაკსაც კი მოიყვანდა. მაგის თავიდან მოშორება ადვილი არ გეგუნოთ, სანამ საკურთხივით არ დაგვაკურთხებს ყველას აქედან აღარ წავა.

ნიკიფ. — (ნელა გააღებს კარებს და შემოდის. შუახნის კაცია ინტელიგენტური შეხედულობა აქვს. მოძველო ანაფორა აცვია, მოკრძო წვერი აქვს, თმა დაშლილი, ქუდს მოიხდის და ყველას მდაბლათ თავს. უკრავს) იყოს კურთხევა უფლისა თქვენზედა ძენო ახალთაობისანო. (თავს უკრავს, ყველანი თავს უკრავენ)

სამს. — რა გნებავთ მამაო?

ნიკ — (კარების ახლო გაჩერდება) რედაქტორი ვინ ბრძანდება?

სამს. — მე გახლავართ, რა გნებავთ?

ნიკ. (წავა სამსონისკენ) ძალიან დიდი საქმე...

ტიტ. (განაგრძობს ანგარიშს) ხელის მომწერლებიდან შემოვიდა. . ეეე .. მმმ...

ნიკ. — (შეშინებული ტიტიკოსკენ მიიხედავს)...!დიდი საქმე მაქვს... გთხოვთ დაწვრილებით (მიიხედავს ტიტიკოსკენ) მომისმინოთ.

სამს. — (იქვე ახლო სკამზე მიუთითებს) დაბრძანდით, მამაო, ცოტა მოითმინეთ, საქმეს მოვრჩებით და შემდეგ მოვილაპარაკოთ.

ნიკ. — (სკამს აიღებს და შორი ახლო დაჯდება, თან ხშირათ ტიტიკოსკენ იყურება) დიდი მადლობელი ვართ, ბატონო, მოვიცდი.

სამს. — (ბესოს და ვიქტორს) მაშ, როგორ გინდათ, კაცო, როგორ უნდა გავარკვიოთ მთავრობის მოქმედება, რა სიტყვებით უნდა დავსწეროთ?

ვიქ. — (მივა ახლოს და გაჩერდება) რაღაც სხვანაირათ უნდა დავსწეროთ, თორემ ნამდვილათ გაზეთს დაგვიხურავენ. რაღაც ისეთი ღრმა აზროვანი სიტყვები უნდა ვიხმაროთ, რომ ვერავინ ვერ მიგვიხვდეს რის თქმა გვინდოდა.

ტიტ. — (განაგრძობს ანგარიშს) ხელის მომწერლებიდან შემოვიდა...ეეე...ხუთი...ეეე...ათი...ეეე.. მმმ...

ბეს. — ვაიმე! დაიწყო ისევ?!

სამს. — (გაჯავრებული უყვირის ტიტიკოს) კარგია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცო, გული ნუ გაგვიწყალე, გაათავე ერთი და მოგვწყდი თავიდან.

ტიტ.—(თავს აქანებს) ნუ მიშლით....ხუთი,... (ჩაიგდებს)...ეეე...ათი...მმმ...

ნიკ.—(შეშინებული მიიხედავს ტიტიკოსკენ და პირჯვარს იწერს. ჩუმათ) ჯვარი აქა, ჯვარი აქა.

სამს.—(ბესოს და ვიქტ.) მაშ, როგორ მოვიქცეთ ეხლა? (საათს ამოიღებს და დახედავს) უკვე სამი საათია, თუ ერთ საათში მასალა არ მივეცით მერე აღარ აგვიწყობენ.

ბეს.—აქა იქ შევასწოროთ და გავუშვათ, რაც იქნება იქნება.

ტიტ —(განაგრძობს ანგარიშს) ათი...ეეე...ხუთი . მმმ...

ნიკ.—(შეშინებული წამოდგება და ჩუმათ ბესოს) გიჟი ხომ არ არის? იქნება შელოცვა უნდა? (დაჯდება ისევ თავის ადგილზე).

ბეს.—არა, მამაო, ეს ჩვენი მთავარი ბუღალტერია, და დიდი საანგარიშო აქვს და ფიქრობს.

ტიტ.—(განაგრძობს) ...ათი.. (ჩაიგდებს ჩოთქზე) ხუთი...ეეე...მმმ...ხუთმეტი.. ეეე ..მმმ...

სამს.—(გაბრაზებული წამოვარდება, მივარდება ტიტიკოსთან, გამოსტაცებს ჩოთქს ხელიდან და გადაუგდებს) არ მოგვშორდები თავიდან! დამჯდარხარ და ზმუი ძროხასავით, კანტორა გაქ და წადი იქ იანგარიშე; გააჭივრა საქმე?! (თავის ადგილზე დაჯდება).

ტიტ.—(გულნატკენი ადგება და მიდის კარებისკენ) ხუთმეტი ეეე... ათი... ხუთი... მმმ... ეეე... (გადის).

ნიკ.—(შეშინებული, თვალებს გააყოლებს) დიდი ჭკუის პატრონი კაცი უნდა იყოს, ძალიან დაფიქრება სცოდნია.

ბესო.—დიახ, ხანდისხან ანგარიში ეშლება; თორემ ისე ძალიან მძიმე ჭკუა აქვს.

სამს.—ასეა, კაცო, ხან შინაური და ხან გარეული გიშლის ხელს და მოდი და სწერე ეხლა შენ. მაშ, შევასწოროთ როგორც იქნება და გავგზავნოთ ბარემ. სთქვით როგორ შევასწოროთ?

ბესო.—ჩემის აზრით ასე შეიძლება. მაგალითათ შენ ამბობ მთავრობამ ცეცხლით და მახვილით შეუდგა მის წინააღმდეგ ამხედრებულ ხალხის დამშვიდებას. სიტყვა მთავრობის მაგიერ ვიხმაროთ ბიუროკრატია, „ბიუროკრატიამ ალაგმა ხალხი“...

ვიქ. არა, ასეც მაგარი იქნება. „ბიუროკრატიამ რეპრესიული ზომები მიიღო რევოლიუციის წინააღმდეგ“.

სამს.—ასე სჯობია. (ასწორებს, შემოდის უმუზო პოეტი).

**ირეთელი.**

(შემდეგი იქნება)



* *
*

არა, არ ვნატრობ ზირად სიამეს
ოცნებით ფრენას ცისა სივრცეში,
მე მსურს ხალხთ შორის ვიმყოფებოდე
მათთან ვიწოდე გენიის ცეცხლში.

მე მათით ვცოცხლობ, მათით ვსულდგმულობ
მათთან არს ჩემი ფიქრი გონება,
მათი სიამით გული ნეტარობს
და მათი ჭმუნვით იგიც დონდება.

რათ მინდა ტკბილი, ამო ცხოვრობა
თავ დავიწყება მარად ჟამს ლხენა;
რათ მინდა ცეკვა „მშვენიერებთან“
„მათთან ხვევნაში“ საამოთ ქმნა.

მე, ხალხისა შვილს, მისგან გამოზრდილს
არა, არ შემშვენს ამგვარი ქცევა,—
განცხრომის ძეთთვის დამილოცნია
დე მათ მოიკლან თვის ვნებათ ღელვა.

ხალხის ქონებით, მისი ნაშრომით
მათ ისარგებლონ, ისინი სუქდენ,
ჭაღ-ელექტრონით მბრწყინავ დარბაზში
მუსიკის ხმები სჭექდენ და ქუხდენ.

მე სულ სხვას ველტვი, სხვისკენ ვისწრაფვი
და ეს სხვა არის მტრის მებრძოლება
და მით ბრწყინვალე დიადი მიზნის
ძლევა მოსილათ დაგვირგვინება.

**დ. თურდოსპირელი.**

## მარტივი გამოცანა

### წმინდა მარინის კუთხეს.

(ლანჩხუთი)

წვერი ჩიჩილაკისა
სიარული ბაჩისა,
გაზეთი რომ შემოგვპირდა,
ხანი ხანში გადისა.

არც მადლობა დაგვიბრუნა
აღარც იგი გვადირსა.
ეშმაკო, ჯერ ბრჭყალი გაჰკარ
კვლავ კუდი მათახისა.

**შხანკოლა.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

ჩვენ დიდი-ჯიხაიშის ორ კლასიან სასწავლებლის მასწავლებლები შევიკრიბეთ და გავარჩიეთ წერილი—„პასუხათ ილია წერეთელს“ მოთავსებული „ეშმაკის მათრახის““ 33 №-ში. ამ წერილში მოთავსებული ფაქტები ვსცანით უტყუარ ჭეშმარიტებათ, გარდა ორი მუხლისა: შესახებ ათი მანეთის წართმევის და რემონტის ფულების გაფლანგვის—ათი მანეთი აქვს ვალად ერთ მასწავლებლეს. რემონტის ფულებიდან გაფლანგულია 77 მან. და არა 90 მან.

დიდი ჯიხაიშის ორ კლასიანი სასწავლებლის მასწავლებლები 1) გერასიმე ნუცუბიძე, 2) ლაზარე დარსაველიძე, 3) ილიკო ქუთათელაძე, 4) მიხა ჩიქვინიძე, 5) ალექსანდრა სანებლიძე, 6) ალექსანდრა დევიძე, 7) ქეთო ლეჟავა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესადა გთხოვ, მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგ სტრიქონებს: გაზეთ „ამირანის“ № 69 ვინმე გორელი სწერს ვითომ ბ. მალალეინ პლატონის-ძე სოკოლოვს ეყიდნოს ჩვენი სოფელი მალდა, მდებარე გორის მაზრაში და ვითომდა პოლიციის სოკოლოვის, თხოვნით ლალებში წაერთმიოს ჩვენ, მალდელებისათვის საქონელი, ხოლო მას, სოკოლოვს, მაზრის უფროსის თხოვნით დაებრუნებიოს ჩვენ, მალდელებისთვის, ჩვენი საქონელი. ეს სტრიქონები სიმართლეს მოკლებულნი არიან. რადგან ჯერ ერთი რომ ბ. სოკოლოვს არავითარი მამული არა აქვს ნაყიდი სოფელ მალდაში, ის არის მხოლოთ მონაწილე ცოლის მხრით ერთ მეხუთედში ჩვენს სოფ. მალდაში; მეორე ისა რომ ბ. სოკოლოვს არ მიუმართავს პოლიციისთვის, არამედ პოლიცია ახდევინებს ყველა მემამულეებს ლალას დღესაც საზოგადო გუბერნატორის ბრძანების ძალით ჩვენს ხეობაში. და მესამედ ისა, რომ არა თუ მაზრის უფროსის თხოვნით დაებრუნებიოს საქონელი ჩვენთვის, არამედ თვით სოკოლოვის თხოვნით, რომელმა იძულებული გახადა მაზრის უფროსი არ გაეყიდნა საქონელი ქალაქ გორში და დააბრუნებინა პატრონებისთვის — მას შემდეგ ბ. სოკოლოვი მოვიდა ჩვენს სოფ. მალდაში და გაიგო რა ჩვენი შეწუხება მოუსავლელობის გამო, მის მაგივრათ, რომ ორი კვირის ვადა ვსთხოვეთ 1907 წლის ლალის გადასახდელათ, მან გვადროვა დღეიდგან სამს თვეს და გარდა ამისა, რომელიც ჩვენ მალდელებზედ ირიცხებოდა 1905 და 1906 წლების კომისიის გადაწყვეტილებით რიცხვით ათას ას ორმოცი მანეთი და 73 კაპ. (1140 მანეთი და 73 კ.) სრულებით გვაპატივა. რაშიდაც ხელწერილი მოგვცა და თავისუფალი გვყო. რისთვისაც ბ. რედაქტორო, თქვენის გაზეთის საშუალებით დიდს მადლობას ვუცხადებთ. ბ. სოკოლოვს ჩვენ, მალდელები, რიცხვით 70 კომლი გლეხი. ამ წერილს ვწერ მე მალდელი გლეხი მალდელების მონდობით ანტონ სოლომონის ძე ალბორიშვილი.



## ქუთაისის საკლავები.

ჰირუტყვთა ბედი

ჰირუტყვების ბედ იღბალი,
ვით ინატროს კაცთა ძმა
ახალგაზრდა — უღელს ზიდავს...
ჯილდო — შიმშილი და ცემა.
მოხუცდება და უძლური
მძიმე უღელს რომ ვერ დაძრავს,
გულ-ბოროტი ადამის-ძე
დანით კისერს გამოდადრავს.

გ. ჩი—ძე.

## მონადირე.

„ავთანდილ“ დაინადირა გურია მთა დრე კლდიანი,
ვერც ხარი ნახა, ვერც ფური ვერცა ირემი რქიანი,
ვერც ჯეირანი ლამაზი, ვერც ჯიხვი ყანწებ რქიანი
ვერცა მშიშარა კურდღელი, ვერც ტახი ეშვებიანი!!

დაღონდა ნადირთ მეუფე*) ჭაბუკი მდარე ჭკვიანი
გლეხისა ეზოს მიადგა დარი მოუხანს მზიანი:
გაწყვიტა ძროხა, ქათამი, დორები გოჭებიანი,
იხვი და ბატი მრავალი თიკანი წვერებიანი.

დახვრეტა ღები, საბანი, ბუმბული ბეწვებიანი,
ხურჯინი შაქრით გაავსო ოროლ-ფუთ გვერდებიანი
ავეჯეული წაიღო რაც ნახა ფასებიანი
ჩაის კოვზები, ბეჭდები და ვერცხლი თასებიანი.

შინ რო დაბრუნდა ნადავლით, კიდევ არ იყო გვიანი
დაჯდა გათალა შამფური მწვადი აგო მცვრიანი
ცეცხლს შემოუჯდა თითონაც მოდუნულ კანჭებიანი
და ტკბილათ ჩაადიდინა სიმღერა ალერსიანი...

ჯიხვი.

P. S. სჩანს ნადირობა სოფელში საქმეა ბარაქიანი.

ჯ.

## პასუხები.

ეშმაკის მათრახის 32 №-ში ჩოჩხათელი კოჭლი პედაგოგი მიწვევს სამედიატორო სამართალში და თან ამბობს: „შენ მიერ გამოწერილი სპერმაკუდინის და მათრახის სიმწვავე სრულიად არ მიგრძვნიაო“ აი ჩემი პასუხი: თქვენ უვარგისი ხართ, როგორც მასწავლებელი, სარგებლობთ დროით, ჩაგიგდიათ ხელში 80 მოწაფე და აწვალებთ დაამტკიცეთ ამის წინაალმდეგი და აღარაფერი დაგრჩებათ სამედიატორო.

კასიო.

ეგ ვერაფერი პასუხია, დეე სამედიატორო სამართალმა გამოარკვიოს მტყუან-მართალი. კასიოს უფლება არა აქვს უარი სთქვას.

—

ბ. მიტუშა როსტომაშვილს!

თანახმა ვარ გამოვყვეთ სამედიატორო სამართალში. საქმე გაირჩევა ქ. თფილისში, ვინაიდან ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო თფილისიდან ჩემი გასვლა უხერხულია. განაჩენი კი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადოთ.

მედიატორეები დაასახელეთ და ვადა დანიშნეთ ჩემის მხრით მედიატორებათ ვნიშნავ. ლეოს და ლაზარეს.

ცხო.

---

*) ესე იგი მონადირე.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ე. ბოლქვაძე

მოითხოვეთ ყველგან

მ. ლალიძის და ამხანაგობის საუკეთესო ქარხნის წყალი!

გემო და არომატი მშვენიერი აქვს.

ქარხანასთან დეკორატიული მცენარეებით ლამაზათ მორთული აივანია, სადაც შეიძლება ყინულივით ცივი წყლის სმა.

ქარხანა იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის სახლში. ტელეფონი 411. (13—3)

ელექტრომბეჭდავი, ამხ. „შრომა“ რუსსკაია ქ. № 3.